სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი N1

სოფელი წინამძღვრიანთკარი 08 იანვარი 2020 წელი

სხდომას უძღვებოდა:

თეიმურაზ ასათიანი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორი - კომისიის თავმჯდომარე;

სხდომას ესწრებოდნენ:

ნატო ჟიჟიაშვილი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის იურისტი - კომისიის წევრი;

ედიშერ მიდელაშვილი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ლოჯისტიკის სპეციალისტი - კომისიის წევრი;

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

დავით მესხიშვილი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

ზურაბ ჯაბახიძე - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის სამეურნეო მართვის მენეჯერი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

მარიამ აბაშვილი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის საქმისმწარმოებელი - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ლიკა ზაალიშვილი - სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - კომისიის წევრი;

დღის წესრიგი: 2020 წლის საკუთარი შემოსავლების დაფინანსებით, კოლეჯის ტერიტორიაზე მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ტერიტორიების გამიჯვნისათვის საჭირო ღობის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ტენდერის ჩასატარებლად სატენდერო დოკუმენტაციისა და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების პირობების მომზადება.

აღწერილობითი ნაწილი:

2019 წლის 18 ნოემბრის N1567090 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, 2019 წლის 22 ნოემბერს გამოცხადდა NAT190022288 ელექტრონული ტენდერი შესაბამისი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე. ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია, რის გამოც ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა ტენდერის განმეორებით გამოცხადების საჭიროება.

2019 წლის 18 ნოემბრის N1567090 სამსახურებრივი ბარათის თანახმად სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა მიიღო სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"-ს მიერ მომზადებული, კოლეჯის ტერიტორიაზე მცხოვრები, იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი ტერიტორიების გამიჯვნისთვის საჭირო ღობის მოწყობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა საერთო თანხით 53 368.86 (ორმოცდაცამეტიათას სამასსამოცდარვა ლარი და 86 თეთრი) ლარი. აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა 60 კალენდარული დღე.

სამოტივაციო ნაწილი:

კომისიის წევრებმა იმსჯელეს ღობის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე გამოცხადების შესახებ.

შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის, სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სატენდერო დოკუმენტაციაში ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ მოცემულ შემთხვევაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

,,პრეტენდენტს საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი) 2015 წლის 01 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე უნდა ჰქონდეს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილება არანაკლებ 106 736 (ასექვსი ათას შვიდასოცდათექვსმეტი) ლარის ღირებულებით, მათ შორის ერთი ხელშეკრულების ფარგლებში არანაკლებ 53 368 (ორმოცდაცამეტი ათას სამასსამოცდარვა) ლარის ოდენობით, რომელზეც წარმოდგენილი უნდა იქნას დამკვეთის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. სარეკომენდაციო წერილში მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმების თარიღი,ხელშეკრულების ნომერი, შესყიდვის ობიექტის დასახელება, შესრულებული სამუშაოების ღირებულება, ინფორმაცია იმის შესახებ რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია სრულად და ჯეროვნად. გარდა ამისა პრეტენდენტმა მოთხოვნილი გამოცდილების დასტურად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებ(ები)ა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი და ანგარიშფაქტურ(ები)ა (არსებობის შემთხვევაში - ვრცელდება ანგარიშფაქტურაზე) ან ანგარიშსწორების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია (საგადახდო დავალება).

ასევე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სატენდერო დოკუმენტაციაში საავანსო ანგარიშსწორების პირობების გათვალისწინება. კერძოდ: ,,მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საავანსო ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს 20%-ის ოდენობით.

საავანსო ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში „მიმწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან ს.ს.ი.პ. „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან გაცემული საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 1 (ერთი) თვით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ვალუტაში - ლარში. უცხოური ბანკიდან საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მასთან ერთად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს ზემოაღნიშნული საბანკო გარანტიის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან გაცემული „კონტრგარანტია" (ლარში). საბანკო გარანტია და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე (დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანი ქართულ ენაზე).

ავანსის სახით გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების პროპორციულად.

სატენდერო დოკუმენტაციაში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას პირობები შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადების შესახებ, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრის გამოვლენილ ხარვეზებს. საგარნტიო ვადები მიზანშეწონილია განისაზღვროს: 1. სამღებრო სამუშაოები - 1 წელი; 2. ღობე - 3 წელი; 3. სხვა დანარჩენი - 2 წელი;

სატენდერო კომისიამ განიხილა და მოიწონა სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების პროექტები, რომელიც დამტკიცების შემდეგ უნდა დარეგისტრირდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

დაადგინეს:

1. **დამტკიცდეს** სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია;
2. **შესყიდვის სავარაუდო** ღირებულება განისაზღვროს 53 368 ლარით დღგ-ს ჩათვლით, **ხოლო მიწოდების** ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღე;

3. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განათავსოს სატენდერო დოკუმენტაცია და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება.

4. შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება განისაზღვროს შემდეგი კლასიფიკატორის შესაბამისად: CPV: 45342000-6 ღობეების მონტაჟი;

კომისიის თავმჯდომარე: **თეიმურაზ ასათიანი**

კომისიის წევრები: **ნატო ჟიჟიაშვილი**

LEPL - ILIA TSINAMDZGVRISHVILI COLLEGE

Digitally signed by LEPL - ILIA TSINAMDZGVRISHVILI COLLEGE
Date: 2020.01.08 14:43:48 +04'00'

ედიშერ მიდელაშვილი

აპარატის წევრები: **დავით მესხიშვილი**

ზურაბ ჯაბახიძე

მარიამ აბამვილი